ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

ინტერესის გამოხატვის კონკურსი სოციალური საწარმოების შესარჩევად CSRDG-ს გავლენის ფონდ „აქციოს“ პორტფელისათვის

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. ცენტრის მისიაა საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) პროგრამული პრიორიტეტია 2009 წლიდან. პროგრამის მიზანია საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს. დამწყები და მოქმედი სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ, საკანონმდებლო და სხვა საკითხებზე უწევს ინტენსიურ კონსულტაციებს.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისათვის მიყევით ბმულს: CSRDG

COLLABORATE FOR IMPACT

2. ინფორმაცია პროექტის შესახებ

2021 წლის იანვარში, ევროკომისიის გენერალური დირექტორატის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში (DG NEAR) ფინანსური მხარდაჭერით და ვენჩურული ფილანტროპიის ევროპულ ასოციაციასთან (EVPA) პარტნიორობით დაიწყო 56 თვიანი საერთაშორისო პროექტი სახელწოდებით *"თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.* (Collaborate for Impact - development of social entrepreneurship and social investments towards economic and social cohesion in the Eastern Partnership)", რომელსაც საქართველოში ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG). პროექტის წამყვანი განმახორციელებელი ორგანიზაციაა EVPA, ხოლო პარტნიორები: SILab Ukraine, EduHub, Ecovisio და Impact Hub Yerevan.

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკოსისტემის განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება, სოციალური ინოვაციების პოპულარიზაცია, გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისათვის, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს გავლენის ინვესტორებისა და სოციალური საწარმოების რაოდენობის ზრდასა და თანამშრომლობის გაღრმავებას რეგიონში. ეს კი დაეხმარება სოციალურ საწარმოებს, გააუმჯობესონ თავიანთი სოციალური შედეგები და გაზარდონ სოციალური გავლენა.

საქართველოში პროექტის ამოცანებია:

- გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების განვითარება
- საქართველოში პირველი გავლენის ფონდის დაფუძნება
- მოქმედი სოციალური საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა ფინანსური და გავლენის მაჩვენებლების ზრდის თვალსაზრისით.
- დამწყები, ინოვაციური სოციალური საწარმოების გაძლიერების ხელშეწყობა

3. გავლენის ფონდი აქციო

2022 წლის ივნისში, CSRDG-მ საქართველოში პირველი გავლენის ფონდი „აქციო“ დააფუძნა. ფონდის მიზანია მომდევნო 5 წლის მანძილზე მდგრადი ბიზნეს მოდელის მქონე 10 სოციალური საწარმოს გაძლიერება, რომლებიც ხელშესახებ გავლენას ქმნიან შრომითი ინტეგრაციის, განათლების, გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ტრადიციული რეწვის განვითარების მიმართულებით.

„აქციო“ შეიქმნა გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ფონდი პორტფელში არსებულ სოციალურ საწარმოებთან იმუშავებს სტრუქტურირებული და გრძელვადიანი, 3-დან 5 წლამდე, მიდგომით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საჭიროებებზე მორგებული ფინანსური მხარდაჭერა შედეგებზე დაფუძნებული გრანტებისა და 0%-იანი სესხების სახით;
- საჭიროებებზე მორგეული ტექნიკური მხარდაჭერა ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების სახით;
- სოციალური გავლენის დაგეგმვაში, გაზომვასა და მართვაში მხარდაჭერა.

მეტი ინფორმაცია გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების შესახებ იხილეთ აქ.

4. ინტერესის გამოხატვის კონკურსის მიზანი

CSRDG-სა და გავლენის ფონდ „აქციოს“ ინტერესის გამოხატვის კონკურსის მიზანია საქართველოს მასშტაბით მოქმედი სოციალური საწარმოების განვითარებისა და გაფართოების მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ როგორ ეკონომიკური, ისე სოციალური შედეგების მასშტაბის ზრდა. გაფართოებასა და განვითარებაში იგულისხმება შემდეგი:

- არსებული პროდუქტის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- არსებითად ახალი პროდუქტის/მომსახურების შექმნა;
- წარმადობის გაზრდა;
- მომხმარებლის ახალი სეგმენტის ათვისება;
- გაყიდვების გეოგრაფიული დაფარვის გაზრდა როგორც საქართველოს მასშტაბით (მაგ: ახალი ფილიალის გახსნა), ისე ექსპორტზე გასვლით
- და სხვა შესატყვისი საქმიანობები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად სოციალურმა საწარმომ უნდა შეძლოს როგორც გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის, ისე სოციალური შედეგების გაზრდა პროექტის დაწყების მომენტში არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით.

5. ინტერესის გამოხატვის კონკურსში მონაწილეობის უფლება

ინტერესის გამოხატვის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შემდეგი სოციალური მიზნების მქონე საწარმოებს[1]:

- შრომითი ინტეგრაციისა და განათლების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ტრადიციული რეწვის განვითარება

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

სოციალური საწარმოს სამართლებრივი ფორმა

- არამომგებიანი (არასამეწარმეო) იურიდიული პირი
- სამეწარმეო იურდიული სტატუსი (მაგ: შპს, კოოპერატივი), რომლის სადამფუძნებლო და საწესდებო დოკუმენტში ნათლად ჩანს სოციალური მისიის უპირატესობა;

ეკონომიკური კრიტერიუმები

- სოციალური საწარმო უნდა იყოს ეკონომიკურად აქტიური სულ მცირე ბოლო 2 წლის მანძილზე;[2]
- სულ მცირე ბოლო 1 წლის მანძილზე (2021 წლის ივნისი - 2022 წლის ივნისი) სოციალურ საწარმოს შემოსავლების სულ მცირე 80% მიღებული უნდა ჰქონდეს სამეწარმეო საქმიანობიდან, გაყიდვებიდან. ქონებისა და აღჭურვილობისთვის (ძირითადი საშუალებებისთვის)[3] მოზიდული ფინანსური მხარდაჭერის გათვალისწინება აღნიშნულ 80%-ში არ მოხდება;

[1] სოციალურ საწარმოს შეიძლება წვლილი შეჰქონდეს ჩამოთვლითაგან ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევაში.

[2] ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილება უნდა აღემატებოდეს 2 წელს. სოციალურ საწარმოს ეკონომიკური საქმიანობა დაწყებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე 2020 წლის ივნისის თვეში

[3] ქონება და აღჭურვილობა: მიწა, შენობა-ნაგებობა, ავეჯი და ტექნიკა, საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილი და სხვა.

- სოციალური საწარმოს გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი ბოლო 12 თვის მანძილზე (2021 წლის ივნისი - 2022 წლის ივნისი) უნდა შეადგენდეს სულ მცირე 30,000 ლარს;
- სოციალური საწარმო მოგების სულ მცირე 70%-ს უნდა ხარჯავდეს სოციალური მიზნის მქონე საქმიანობებში ან ახდენდეს მის რეინვესტირებას საწარმოს განვითარებისათვის.

სოციალური კრიტერიუმები

- სოციალურ საწარმოს მიღწეული უნდა ჰქონდეს მისიის შესაბამისი სოციალური შედეგები და უნდა შეეძლოს მათი ფაქტობრივი, დოკუმენტური ინფორმაციით დადასტურება;

სოციალური საწარმოს გუნდი

- სოციალურ საწარმოს უნდა ჰყავდეს სულ მცირე 3 მუდმივი, ანაზღაურებადი თანამშრომელი.

დამატებით უპირატესობად ჩაითვლება, თუ სოციალურ საწარმოს ჰყავს მოხალისეები და თუ საწარმო საქმიანობის პროცესში ითვალისწინებს გენდერულ და გარემოსდაცვით საკითხებს.

„აქციოს“ პორტფელისათვის სოციალური საწარმოების შერჩევის შემდეგ ეტაპზე გადავლენ ის სოციალური საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ ტექნიკურ მოთხოვნებს და რომელთა განაცხადი შეფასდება 60 ქულაზე მეტით.

წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვის კონკურსის განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

მაქსიმალური ქულა 100

	განაცხადის შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	სოციალური საწარმოს მოსალოდნელი სოციალური გავლენა და შედეგები	30
2	სოციალური საწარმოს მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგები;	20
3	სოციალური საწარმოს განვითარების გამართული ბიზნეს ხედვა	20
4	განმცხადებლის გამოცდილება და დამატებითი კონტრიბუცია;	20
5	დამატებითი სოციალური ეფექტი (პროექტი ეკომეგობრულია, გათვალისწინებულია გენდერული საკითხები, ინოვაციურია, ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკას).	10
ჯამი:		100

შერჩევის პროცედურა

5 წლის მანძილზე „აქციოს“ პორტფელისათვის შეირჩევა 10 სოციალური საწარმო. პირველ ეტაპზე აქციოს პორტფელისათვის შეირჩევა მაქსიმუმ 3 სოციალური საწარმო. შერჩევის პროცესი შემდეგია:

- ინტერესის გამოხატვის საკონკურსო განაცხადის შევსება სოციალური საწარმოს მიერ;
- ინტერესის გამოხატვის განაცხადების ტექნიკური შემოწმება;
- ინტერესის გამოხატვის განაცხადების შეფასება დამოუკიდებელი საინვესტიციო კომისიის მიერ;
- აპლიკანტებისთვის ინფორმაციის მიწოდება საინვესტიციო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ;
- მეორე ეტაპზე გადასულ სოციალურ საწარმოებთან დაკავშირება და სრული ბიზნეს და სოციალური შედეგების გეგმების ერთობლივად განვითარება სოციალური საწარმოს, CSRDG-სა და „აქციოს“ გუნდის მიერ;

- საინვესტიციო კომისიის მიერ სოციალური საწარმოს სრული დოკუმენტაციის განხილვა;
- საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სოციალური საწარმოს პორტფელში აყვანის შესახებ.

შენიშვნა: *მიმდინარე კონკურსი წარმოადგენს გავლენის ფონდ „აქციოს“ პორტფელში გაწევრიანების სურვილის გამოხატვის ეტაპს. პორტფელში გაწევრიანება გულისხმობს, როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური მხარდაჭერის მიღებას ფონდისგან. აღნიშნული ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში სოციალური საწარმო „აქციოს“ გუნდთან ერთად შეიმუშავებს სრულ ბიზნეს და სოციალური შედეგების განვითარების გეგმას.*

პროექტის შეფასებისა და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საინვესტიციო კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, „აქციოს“, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით, გავლენის ინვესტორებით, ასევე, სხვადასხვა დარგის დამოუკიდებელი ექსპერტებით;

კომისიას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია; განმცხადებელთან ადგილზე ვიზიტს განახორციელებენ CSRDG-ისა და „აქციოს“ წარმომადგენლები. დამატებითი ინფორმაციის მოსაწოდებლად განმცხადებლებს სულ ცოტა 4 სამუშაო დღე მიეცემათ.

დაფინანსების შემთხვევაში სოციალური საწარმო გამოხატავს მზაობას მიიღოს განვითარებისთვის აუცილებელი საკონსულტაციო მომსახურება და იღებს პასუხისმგებლობას ფონდის მხარდაჭერით დაგეგმოს და შეაფასოს მიღწეული ეკონომიკური და სოციალური შედეგები.

6. კონკურსის ფინანსური საკითხები და დასაშვები ხარჯები

სოციალური საწარმოს განსავითარებლად მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს **50,000 ევროს ექვივალენტს ლარში.** გაითვალისწინეთ, რომ „აქციო“ სოციალურ საწარმოებს სთავაზობს დაფინანსების ორ მექანიზმს:

- შედეგებზე დაფუძნებული გრანტი;[4]
- 0%-იანი სესხი

დაფინანსების მექანიზმების გამოყენება მოხდება კომბინირებულად. მოთხოვნილი საგრანტო თანხა <u>არ უნდა იყოს 20,000 ევროზე ნაკლები</u> და <u>არ უნდა აღემატებოდეს 40,000 ევროს.</u>

სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 10,000 ევროს. მინიმალური თანხა არ არის განსაზღვრული.

აპლიკანტს მოეთხოვება მიღებული საგრანტო თანხის 10%-იანი ფინანსური თანამონაწილეობის გაღება.
სავალდებულო თანამონაწილეობის უზრუნველყოფა, შესაძლებელია როგორც საკუთარი ან/და სხვა წყაროებიდან, ისე აქციოს მიერ შეთავაზებული სასესხო პროდუქტით.

დაბეგვრა:

მიღებული გრანტით დღგ-ს თანხა არ ანაზღაურდება. შესაბამისად, თუ გრანტით მიღებული თანხა დაიხარჯა დღგ-ზე, გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ ეს ხარჯი უნდა გასწიოს სხვა წყაროდან. პროექტის ხარჯების საბოლოო ანგარიში CSRDG-ის უნდა ჩაბარდეს დღგ-ს გარეშე.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და „აქციოს“ მიერ, მხარდაჭერილი სოციალური საწარმოების მონიტორინგი და ტექნიკური მხარდაჭერა განხორციელდება მინიმუმ 3 ხოლო მაქსიმუმ 5 წლის განმავლობაში. ზუსტი პერიოდი განისაზღვრება კონტრაქტით. CSRDG არ ანაზღაურებს კონკურსში მონაწილის მიერ საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარმოდგენისათვის გაწეულ ხარჯებს, მიუხედავად იმისა, შეირჩევა თუ არა მისი განაცხადი.

[4] საგრანტო თანხის ყოველი ტრანში ჩაირიცხება წინასწარი გეგმით გაწერილი ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესრულების შეფასების შემდგომ

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

მიღებული ფინანსური მხარდაჭერის გამოყენება ნებადართულია შემდეგი მიზნებისთვის და საქმიანობებისთვის:

საგრანტო მხარდაჭერის გამოყენება შესაძლებელია შემდეგი ტიპის ხარჯებისთვის

- კაპიტალური აქტივების შეძენა (საწარმოო დანადგარები, საოფისე მოწყობილობები, ტექნიკა და ა.შ.);
- ონლაინ საქმიანობის მექანიზმების დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა (ტელეფონები, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, ონლაინ კონფერენციების სერვისების გამოწერა და სხვ.);
- მარკეტინგული ღონისძიებები და საპოპულარიზაციო მასალების დამზადება;
- ხელფასის და ჰონორარის გაცემა იმ მოწვეულ სპეციალისტებზე (ტრენერები, ბენეფიციარების ანაზღაურება, ექსპერტები და ა.შ.), რომელთა ექსპერტული მხარდაჭერაც აუცილებელია საწარმოს გამართული ფუნქციონირებისათვის. ხელფასის გაცემა არსებითად ახალი ფუნქციის მქონე თანამშრომლებზე როგორც მენეჯმენტის, ისე საოპერაციო გუნდში. მოთხოვნილი თანხა უნდა შეადგენდეს საგრანტო თანხის არაუმეტეს 25%-ს.
- ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯები;
- სოციალური საწარმოს ონლაინ რესურსებისა და ქსელების მხარდაჭერა;
- სარემონტო სამუშაოები, საგრანტო თანხის არაუმეტეს 15%-სა;
- ფართის იჯარა (ახალი ფილიალის გახსნის ან დამატებით ახალი სივრცის საჭიროების შემთხვევაში) საგრანტო თანხის არაუმეტეს 15%-სა;
- სოციალური მისიის შესატყვისი სოციალური საქმიანობებისთვის საგრანტო თანხის არაუმეტს 10%-სა.

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართული არ არის შემდეგი მიზნებისთვის;

- სოციალური საწარმოს მიმდინარე ხარჯები;
- ხელფასის გაცემა საწარმოს არსებული მენეჯმენტისათვის;
- უძრავი ქონების შესყიდვა/აშენება;
- პოლიტიკური კამპანიების და საქმიანობების განხორციელება;
- საერთაშორისო მგზავრობა;
- ჰუმანიტარული აქტივობები;

სასესხო მხარდაჭერის გამოყენება შესაძლებელია ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჭიროებისთვის

მაგალითად: მასალა/ნედლეულის შეძენა; მიმდინარე საოპერაციო ხარჯები, დამატებითი კაპიტალური ხარჯები და ბიზნესის წარმატებისთვის საჭირო სხვა ნებისმიერ ხარჯი.

7. სოციალური საწარმოს სრული ბიზნეს გეგმის განაცხადის წარდგენა

კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტები:

- ინტერესის გამოხატვის კონკურსის თანდართული განაცხადის ფორმა;
- თანდართული პროექტის ბიუჯეტი და გაყიდვების გეგმა;
- თანდართული ფინანსური ანგარიში, **მინიმუმ** ბოლო 2 წლის მონაცემებით (2022 წლის ივნისის ჩათვლით)
- ორგანიზაციის ხელმოწერილი წესდება;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- აუდიტორის მიერ შემოწმებული აპლიკანტის ბოლო ფინანსური ანგარიშგების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საკონტაქტო ინფორმაცია ორი რეკომენდატორის შესახებ;
- შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული (დაუმოწმებელი) შედარების აქტი ბოლო მდგომარეობით;
- პროექტში მონაწილე პირთა პროფესიული რეზიუმეები ქართულ ენაზე ;

ინტერესის გამოხატვის კონკურსის განაცხადის ფორმის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით მისამართზე: actio.impactfund@gmail.com

გთხოვთ, განაცხადის გამოგზავნისას სათაურში მიუთითეთ: აქციო - ინტერესის გამოხატვის კონკურსი.
განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: **2022 წლის 14 ოქტომბერი 18:00 სთ.**
განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს თანდართული ფორმის შესაბამისად. არასრულად, ან განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

8. კონკურსის მნიშვნელოვანი თარიღები:

კონკურსის შესახებ შეკითხვების ელექტრონულად გამოგზავნის ბოლო ვადაა 5 ოქტომბერი, 2022 წელი. გთხოვთ, გამოგზავნოთ კითხვები ელ.ფოსტის შემდეგ მისამართზე: actio.impactfund@gmail.com

საინფორმაციო შეხვედრა დაინტერესებულ პირებთან ჩატარდება ონლაინ Zoom პლატფორმის **გამოყენებით 22 სექტემბერს და 3 ოქტომბერს 16:00-საათზე. შეხვედრაზე რეგისტრაციის ლინკის მისაღებად დააჭირეთ აქ**

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: 2022 წლის 14 ოქტომბერი 18:00 სთ.

საკონტაქტო პირი

ქრისტინე კანდელაკი, ფონდის მენეჯერი

ელ. ფოსტა: kristine.kandelaki@csrdg.ge ; actio.impactfund@gmail.com